ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

„ევროპული და შედარებითი კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა“ (ECCLAP)

2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ვებინარების სერია

ვებინარი N2

ენდრიულ გევილი - „სახელმწიფო პოლიტიკის ზეგავლენა კონკურენციის სამართლის აღსრულების პროცესზე - ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება“

2025 წლის 13 ნოემბერი, 20:00 –21:30 (ონლაინ რეჟიმში)

მოწვეული ექსპერტის შესახებ

ენდრიუ გევილი - ჰოვარდის უნივერსიტეტის (ვაშინგტონი, აშშ) სამართლის სკოლის პროფესორი, კონკურენციის სამართლის კვლევის 35 წლიანი პრაქტიკით. აკადემიური საქმიანობის პარალელურად, აქვს კონკურენციის სამართლის მიმართულებით პრაქტიკოს იურისტად და საჯარო მოხელედ მუშაობის გამოცდილებაც. არის ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის წევრი ანტიტრასტული სამართლის მიმართულებით. 2012-2014 წლებში, აშშ-ს კონკურენციის აღმასრულებელში - ფედერალური ვაჭრობის კომისიაში - მოღვაწეობდა, კონკურენციის პოლიტიკის დაგეგმარების განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. არის ამერიკის ანტიტრასტული ჟურნალის (წამყვანი სამეცნიერო გამოცემა აშშ-ში) უფროსი რედაქტორი და აშშ-ს ანტიტრასტული სამართლის მთავარი სახელმძღვანელოს თანაავტორი.

ვებინარის შესახებ

კონკურენციის (ანტიტრასტულ) სამართალზე ყოველთვის ახდენს გავლენას იმ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, რომელსაც ეს უკანასკნელი არეგულირებს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სამართლის ეს დარგი ბაზრების/ეკონომიკის განვითარებას სწავლობს. *თუმცა, რა როლი აქვს პოლიტიკას კონკურენციის სამართლის ჩამოყალიბებაში? უნდა ჰქონდეს თუ არა მას საერთოდ რამე როლი სამართლის ამ დარგის განვითარებაში, თუ სასურველია რომ ანტიტრასტული სამართალი პოლიტიკისგან გამიჯნული იყოს?* ვებინარი სწორედ ამ საკითხის განხილვას დაეთმობა, აშშ-ში ბოლო დროს მმართველი გუნდის მიერ კონკურენციის აღმასრულებლებისადმი განხორციელებული პოლიტიკური წნეხისა და შედეგად კონკურენციის აღსრულებაში მომხდარი ცვლილებების ანალიზის საფუძველზე.

ვებინარზე დასწრებისთვის საჭიროა რეგისტრაცია
https://forms.gle/FAPFN9bNCudsPUPA6

დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. N3
თბილისი
0179
საქართველო

ECCLAP კონტაქტი: ლიანა ჯაფარიძე
ელ-ფოსტა: liana.japaridze@tsu.ge
https://www.linkedin.com/in/liana-japaridze-94b71824/